დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის რეზიდენტურის სამსახურის დებულება

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N208	29.12.2016

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი
	რექტორი	ბრძანება N 44	21.02.2019	3.2	შეიცვალა

პრეამბულა

წინამდებარე დებულება ეფუძნება საქართველოს კანონს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას №135/ნ („რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და

შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/ და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“), ასევე, მათში განხორციელებულ ცვლილება-დამატებებს და არეგულირებს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს კანონმდებლობისა და თსა-ს დებულების შესაბამისად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება აწესრიგებს თსა-ს რეზიდენტურის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) კომპეტენციას და საქმიანობის წესს.

1.2 სამსახური წარმოადგენს თსა-ს ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურა) საქმიანობას და მართვას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად.

მუხლი 2. რეზიდენტურის სამსახურის ფუნქციები

2.1 დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) განხორციელება, მართვა და მონიტორინგი წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2.2 სარეზიდენტო პროგრამების და მოდულის ხელმძღვანელების საქმიანობის კოორდინირება;

2.3 რეზიდენტთა პროფესიული მზადების მიმდინარეობის შეფასება;

2.4 რეზიდენტურასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი.

2.5 სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ცალკეულ სამუშაოს შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე სპეციალისტ-ექსპერტების მოწვევა.

2.6 თსა-ს სარეზიდენტო პროგრამების მიმდინარეობის ხარისხის მონიტორინგი.

2.7 რეზიდენტთა ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება, რომელიც იძლევა ცოდნის, უნარ_ჩვევებისა და მიდგომების, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას.

2.8 თსა-ს რესურსიდან გამომდინარე სხადასხვა სპეციალობებში პროგრამების განსახორციელებლად პროფესიული განვითარების საბჭოში დოკუმენტაციის სააკრედიტაციოდ წარდგენა;

2.9 სარეზიდენტო პროგრამის და მოდულის ხელმძღვანელთა საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;

2.10 სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამების მიმდინარეობის და ხარისხზე კონტროლის განხორციელება;

2.11 ლოკალური ხელმძღვანელების სხდომების ორგანიზება და პრობლემური საკითხების განხილვა;

2.12 რეზიდენტთა პროფესიული მზადების მიმდინარე და საბოლოო ანგარიშების შეფასება;

2.13 სარეზიდენტო პროგრამის დასრულებისთან დაკავშირებით სახელმწიფო მოწმობის გაცემის ორგანიზება.

2.14 რეზიდენტურაში სპეციალობის მაძიებელთა მიღების ორგანიზაციული და საკონსულტაციო უზრუნველყოფა, დოკუმენტების არქივისთვის გადაცემა.

2.15 სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამების მართვის მექანიზმების უწყვეტი სრულყოფა;

2.16 სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესი

3.1 რეზიდენტურის მიზანია მედიცინის სხვადასხვა სპეციალობაში დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მზადების ხელშეწყობა (უზრუნველყოფა) ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

3.2 რეზიდენტურის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საექიმო სპეციალობის მაძიებელს, რომელმაც ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოიპოვა 151 ქულა ან მეტი და აქვს მაძიებლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა. თანაბარქულიანი მაძიებლების მიერ თსა-ში საბუთების შემოტანის შემთხვევაში, ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება თსა-ს კურსდამთავრებულს.

3.3 სარეზიდენტო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს თსა-სთან აფილირებულ კლინიკებში.

3.4 რეზიდენტურის კურსის დასრულების შემდეგ თსა-ს მიერ გაიცემა სერტიფიკატი.

3.5 სარეზიდენტო პროგრამის შესრულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან:

- სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი
- ცალკეული მოდულების ხელმძღვანელები

3.6 საქართველოს მოქალაქეებისთვის თსა-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებლის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები.

3.7 რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის – “რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა: - ბრძანების (#135/ნ, 08.04.2009) საფუძველზე და მის შესაბამისად აკრედატიციით მინიჭებული ლიმიტის/ქვოტის მიხედვით.

3.8 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულ დიპლომირებულ მედიკოსს რომელმაც დადგენილი წესის მიხედვით ჩააბარა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღო სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და შესაბამისი ცნობა.

ბ) სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტს, რომელსაც სურს მოიპოვოს ახალ საექიმო სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

გ) პირს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, მისი დიპლომი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.9 რეზიდენტის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საექიმო სპეციალობის მაძიებელთა კონსულტაციებს, განცხადებების მიღებას, საბუთების დადგენილ წესთან შესაბამისობის შემოწმებას უზრუნველყოფს თსა-ს რეზიდენტურის სამსახური.

3.10 რეზიდენტურაში ჩასარიცხ პირთა რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციით მინიჭებული რეზიდენტთა/მაძიებელთა ლიმიტის (ქვოტის) მიხედვით.

3.11 საექიმო სპეციალობების მიხედვით რეზიდენტურაში წინასწარი რეგისტრაცია, კონკურსის ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება თსა-ს რექტორის ბრძანებით.

3.12 სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება სარეზიდენტო პროგრამაზე დაშვების შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა;
- უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი და დიპლომის ასლი);
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი;
- ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4;
- დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (ექიმ-სპეციალისტებისთვის);

3.13 თუ წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, საბუთები არ მიიღება და განხილვას არ ექვემდებარება.

3.14 სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს საბუთები შემოიტანოს მხოლოდ ერთ საექიმო სპეციალობაში.

3.15 საექიმო სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვა განხორციელდება ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მინიჭებული ქულის მიხედვით.

3.16 რეზიდენტურაში ჩაირიცხება სპეციალობის მაძიებელთა ის რაოდენობა, რომელთაც აკრედიტაციის შედეგად დადგენილი ლიმიტის (ქვოტის) ფარგლებში წინასწარ განსაზღვრავს თსა.

3.17 კონკურსში გამარჯვებულ პირთა რეზიდენტურის პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება თსა-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

4.1 პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიური თანამდებობა (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში არანაკლებ 5-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.

4.2 მოდულზე პასუხისმგებელი პირი: სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება, არანაკლებ 2-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება, დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში, სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება (საექიმო სპეციალობაში – „საოჯახო მედიცინა“ მომიჯნავე სპეციალობებისათვის დადგენილი პროგრამის შემთხვევაში, „საოჯახო მედიცინაში“/პირველად

ჯანდაცვაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება) და მასწავლებელთა ტრეინინგ-პროგრამის გავლა. მოდულის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში.

მუხლი 5. პროგრამის ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობებს:

5.1 კოორდინაციას უწევს სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილ სარეზიდენტო აკრედიტირებული პროგრამის განხორციელებას.

5.2 მონაწილეობს რეზიდენტურაში მიღების პროცესში.

5.3 ადგენს რეზიდენტის ინდივიდუალურ გეგმა_გრაფიკს სამედიცინო დაწესებულების და მოდულის ხელმძღვანელის მითითებით.

5.4 კონტროლს უწევს რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობას წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით.

5.5 ყოველწლიურად აფასებს რეზიდენტის მომზადებასა და საქმიანობას, და შედეგების გათვალისწინებით აძლევს რეზიდენტს რეკომენდაციას პროგრამის გაგრძელების შესახებ.

5.6 სარეზიდენტო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ატარებს რეზიდენტის შემაჯამებელ ატესტაციას და თსა-ს აძლევს რეკომენდაციას პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის შესახებ.

5.7 ზედამხედველობას უწევს და აფასებს ცალკეული მოდულების ხელმძღვანელების საქმიანობას.

5.8 მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობებს თსა_ს ადმინისტრაციას.

მუხლი 6. მოდულის ხელმძღვანელი

მოდულის ხელმძღვანელი ახორციელებს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობებს:

6.1 წარმართავს მოდულის ფარგლებში რეზიდენტის მუშაობას;

6.2 რეზიდენტის დღიურში ხელმოწერით ადასტურებს რეზიდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

მუხლი 7. რეზიდენტი

7.1 რეზიდენტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;

ბ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს პროგრამის ხელმძღვანელს, რეზიდენტურის სამსახურს ან თსა-ს ადმინისტრაციას.

7.2 რეზიდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სარეზიდენტო პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;

ბ) მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური, რომლის ფორმატი განისაზღვრება ნიმუშის შესაბამისად;

გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი და შემაჯამებელი შეფასება;

დ) დაიცვას თსა-ს და სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი;

7.3 რეზიდენტის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელმა, შეიძლება განუსაზღვროს მას ის მოდული/მოდულები, რომლებიც უნდა გაიაროს განმეორებით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;

8.2 წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მისი მიღების წესით;